საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №11

ქ. თერჯოლა 02.12.2025 წ

ან. ჭანტურიძის ქ.№7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბიძინა ბუცხრიკიძე; 2. ლაშა ლანჩავა; 3. ნინო ოქრუაძე; 4. გიორგი ყაზაიშვილი; 5. გიორგი ბარათაშვილი 6. ჯემალ ისაკაძე; 7. გიორგი თურქაძე; 8. ეკა ბერძენიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: იუზა უგრეხელიძე, ვლადიმერ მაკარიძე, ერეკლე კირკიტაძე

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი

კვორუმი: 6 წევრი

დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად

სხდომის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ'' განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი - არცერთი

<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო. კერძოდ, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქამებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ'' განკარგულების დამტკიცების თაობაზე. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, სადაც აღნიშნულია, რომ ,,საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს'' თუმცა, ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ '' საქართველოს კანონის'' 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით, ,,შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება მუნიციპალიტეტების შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.''

მომხსენებელმა კომისიის წევრებს ასევე, შეახსენა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს №4640 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქამებულ პირთა რაოდენობა - მერიაში 16 (თექვსმეტი) , ხოლო საკრებულოში 7(შვიდი) ერთეულით იქნა წარმოდგენილი, თუმცა გარემოებათა გათვალისწინებითა და კანონმდებლობის შესაბამისად, საჭირო გახდა აღნიშნული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და 2025 წლისთვის არსებულ საჭიროებებზე მორგებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქამებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ'' განკარგულების დამტკიცება, რომლითაც ორივე დაწესებულბაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქამებულ პირთა რიცხოვნობა გაიზარდა თითო ერთეულით.

აღნიშნულთან განკარგულების პროექტთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი: არცერთი

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქამებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ'' განკარგულება დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე